ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 113

« 28 » აპრილი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ბელიაშვილის ქ. №22, ლუბლიანას ქ. №11ა, ლუბლიანას ქ. №11, ლუბლიანას ქ. №11, კორპ. №2, ლუბლიანას ქ. №11, კორპ. №1, ბელიაშვილის ქ. №68ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 16 მარტის №11 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 აპრილის №04/4906 წერილის (AR1472737) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებული იქნას ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ბელიაშვილის ქ. №22, ლუბლიანას ქ. №11ა, ლუბლიანას ქ. №11, ლუბლიანას ქ. №11, კორპ. №2, ლუბლიანას ქ. №11, კორპ. №1, ბელიაშვილის ქ. №68ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (01.13.02.010.080; 01.13.02.010.079; 01.13.02.010.052; 01.13.02.010.042; 01.13.02.010.073; 01.13.02.010.074; 01.13.02.010.075; 01.13.02.010.076; 01.13.02.010.071; 01.13.02.010.070; 01.13.02.010.060; 01.13.02.010.059; 01.13.02.010.058; 01.13.02.010.057) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1472737 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

გთხოვთ №9 ბლოკში გაჭრნაალინის
სახით მოგვცეთ კლინიკის მშენებლობის უფლება